საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის ბრძანება №559

2008 წლის 20 ივნისი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის თანდართული წესდება.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ. ნოდია

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის წესდება

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. უნივერსიტეტის სტატუსი

1. საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი (შემდგომში – უნივერსიტეტი) არის ავტონომიური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნებულია ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირების – საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტისა და საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტის გაერთიანების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 10 ივნისის №101 დადგენილებით და არის საქართველოს სახელმწიფო აგრარული და საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტების უფლებამონაცვლე.
2. უნივერსიტეტი, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ახორციელებს მხოლოდ იმ საქმიანობას, რომელიც დადგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ წესდებით.
3. უნივერსიტეტის სრული სახელწოდებაა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი შემოკლებით ,,სსიპ – სსსსუ“. უნივერსიტეტის სრული და შემოკლებული მნიშვნელობა გამოიყენება თანაბარი მნიშვნელობით.
4. უნივერსიტეტი ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის და ამ წესდების შესაბამისად, დამოუკიდებლად წყვეტს უნივერსიტეტის მართვასთან და საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს.
5. უნივერსიტეტი თავის შესაძლებლობის ფარგლებში ზრუნავს სტუდენტთა, პროფესორ- მასწავლებელთა და თანამშრომელთა სწავლის, შრომის, დასვენების, ჯანმრთელობის პირობების გაუმჯობესებისათვის.
6. უნივერსიტეტი, როგორც იურიდიული პირი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.
7. უნივერსიტეტს აქვს ბეჭედი საქართველოს მცირე გერბის გამოსახულებით და უნივერსიტეტის სახელწოდებით, ბლანკები და შტამპი უნივერსიტეტის სახელწოდებით, დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
8. უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: საქართველო, 0131, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კილომეტრი.

მუხლი 2. უნივერსიტეტის მიზნები და ამოცანები

1. საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე დამოუკიდებლად ღებულობს გადაწყვეტილებებს:

ა) დამოუკიდებლად წყვეტს საკადრო საკითხებს;

ბ) განსაზღვრავს აკადემიური და სხვა პერსონალის საშტატო განრიგს და მისაღებ კონტინგენტს;

გ) ადგენს სპეციალობათა ნუსხას;

დ) უნივერსიტეტში ხორციელდება აკადემიური ხარისხების მინიჭება;

ე) განსაზღვრავს განვითარების სტრატეგიულ გეგმას;

ვ) ხელშეკრულების საფუძველზე ამყარებს კავშირს სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან;

ზ) აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ, პროფესიულ, კულტურულ-შემოქმედებით, სპორტულ და ჰუმანიტარულ საქმიანობაში;

თ) ეწევა ფასიანი საგანმანათლებლო და სხვა სახის საქმიანობას ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე;

ი) შეიმუშავებს წესდებას, ამტკიცებს დაწესებულების შინაგანაწესს, ეთიკის და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებსა და წესს.

2. უნივერსიტეტში ნებაყოფლობის საფუძველზე შეიძლება შეიქმნას საზოგადოებრივი ორგანიზაციები (პროფკავშირული, სტუდენტთა, ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა, სამეცნიერო-პედაგოგიური, შემოქმედებითი, სპორტული და სხვა) გაერთიანებული პროფესიული ინტერესების შესაბამისად.

3. უნივერსიტეტში არ შეიძლება შეიქმნას პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების სტრუქტურული ერთეულები.

4. უნივერსიტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) სასოფლო-სამეურნეო, აგრეთვე სხვა პროფილის სპეციალობებში მოამზადოს პიროვნება ისეთი პროფესიული მოღვაწეობისათვის, რომელიც მოითხოვს სამეცნიერო ცოდნის, მეცნიერული მეთოდების და პრაქტიკული ჩვევების გამოყენებას;

ბ) სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების – მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება;

გ) პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური და პროფესიული განათლების მქონე პირების – ბაკალავრებისა და დიპლომირებული სპეციალისტის მომზადება;

დ) დიპლომირებული ვეტერინარის მომზადება;

ე) სპეციალისტების მომზადება პრაქტიკული ხასიათის საქმიანობისათვის – რეზიდენტურაში;

ვ) ახორციელებს სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობას, რომელიც მოიცავს სახელობო-საგანმანათლებლო პროგრამების ათვისებას, რომლის შედეგად პირს ენიჭება პროფესიული კვალიფიკაცია;

ზ) ზრუნვა თავისი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე;

თ) ხელი შეუწყოს სტუდენტთა და თანამშრომელთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას;

ი) იზრუნოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;

კ) ხელი შეუწყოს სპორტის და მხატვრული თვითშემოქმედების განვითარებას;

ლ) ითანამშრომლოს საქართველოს და სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;

მ) ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სტუდენტთა და პროფესორთა ურთიერთგაცვლას;

ნ) მოემსახუროს მეცნიერებას სწავლის, სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მეშვეობით თავისუფალ, დემოკრატიულ და სოციალურ სამართლებრივ გარემოში;

ო) ხელი შეუწყოს თანამედროვე ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელებას;

პ) უზრუნველყოს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა და ღია ხასიათი, სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის აკადემიური თავისუფლება, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებისა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვისა და ამ დაწესებულებაში კონკურსების საჯაროობა და გამჭირვალობა, უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვა, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობის და სხვა ნიშნით;

ჟ) საგანმანათლებლო მომსახურებისა და სპეციალისტების მომზადების ხარისხი აამაღლოს მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების დონემდე;

რ) შექმნას და დანერგოს განათლების ხარისხის მართვის სისტემა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

მუხლი 3. უმაღლესი განათლების ენა

უნივერსიტეტში სწავლების ენა არის ქართული. შესაძლებელია სხვა ენაზე სწავლება, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით და შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

თავი II უნივერსიტეტის მართვის ორგანოები – მართვის სუბიექტები

მუხლი 4. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები)

1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია:

ა) წარმომადგენლობითი საბჭო;
ბ) აკადემიური საბჭო;
გ) რექტორი;
დ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
ე) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
2. უნივერსიტეტის მართვის პრინციპები:
ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებების, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშებისა და ბრძანებების საჯაროობა და მათ ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისათვის;
ბ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლება;
გ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში;
დ) თანასწორი მოპყრობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა;
ე) საუნივერსიტეტო არჩევნების სამართლიანობა და გამჭვირვალობა, კონკურსების საჯაროობა.
3. უნივერსიტეტის წესდებითა და სტრუქტურული ერთეულებების დებულებებით არ შეიძლება დადგინდეს ამ პრინციპების შემზღუდავი ნორმები.

მუხლი 5. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო

1. წარმომადგენლობითი საბჭო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა.
2. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობა:
ა) წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ირჩევენ უნივერსიტეტის ძირითად ერთეულებზე – ფაკულტეტებზე;
ბ) წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა 63 წევრით. (რაოდენობა განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით და უნდა იყოს არანაკლები აკადემიური საბჭოს შემადგენლობის ორმაგი ოდენობისა. წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტები წარმოადგენენ საბჭოს საერთო რაოდენობის ერთ მესამედს).
გ) წარმომადგენლობით საბჭოში ფაკულტეტების წარმომადგენლობის რაოდენობა პროპორციულია უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებზე აკადემიური პერსონალის და სტუდენტების რაოდენობისა. წარმომადგენლობით საბჭოში ფაკულტეტის წარმომადგენელთა მინიმალური ოდენობა არ შეიძლება იყოს 5-ზე ნაკლები.
დ) წარმომადგენლობითი საბჭოს წევრად ირჩევენ ფაკულტეტის სტუდენტების და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს;
ე) წარმომადგენლობითი საბჭოს წევრად სტუდენტებს ირჩევს ფაკულტეტის სტუდენტების ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული ყველა სტუდენტი, აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს კი ირჩევს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული ყველა სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი;
ვ) წარმომადგენლობით საბჭოში შედის აგრეთვე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის (ბიბლიოთეკების) ხელმძღვანელი;
ზ) წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

მუხლი 6. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის წესი

1. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების თარიღს ადგენს უნივერსიტეტის რექტორი, წინა მოწვევის საბჭოს უფლებამოსილების ვადის შეწყვეტამდე ერთი თვით ადრე.
2. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების დანიშვნის თაობაზე შეტყობინება გადაეცემა გასაცნობად ფაკულტეტებს და ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და გაზეთში, აგრეთვე განცხადება უნდა გაიკრას ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას მისი საჯაროობისა და დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 7. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის წესი

1. წარმომადგენლობით საბჭოში თავისი კანდიდატების წარდგენის უფლება აქვს აკადემიური პერსონალის, სტუდენტთა ნებისმიერ წევრს, რომლის შესახებაც იგი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს რეგისტრაციაში გასატარებლად.
2. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს 10 დღის განმავლობაში. რეგისტრაციაზე უარის შემთხვევაში მიეთითება, თუ რა ხარვეზებს შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს 2 დღის ვადაში.
3. კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას საარჩევნო კომისია იღებს 3 დღის განმავლობაში.
4. წარმომადგენლობით საბჭოში ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციას ახორციელებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია, ხოლო ამომრჩეველთა რეგისტრაცია ხორციელდება ფაკულტეტის საარჩევნო კომისიების მიერ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის დებულების შესაბამისად.

მუხლი 8. საარჩევნო სიები

1. საარჩევნო სიებს ადგენს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, უნივერსიტეტის იმ სტრუქტურულ ერთეულებთან შეთანხმებით, რომლებიც პასუხისმგებელია საკადრო საკითხების ორგანიზებაზე.

2. აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა საარჩევნო სიები დგება ცალ-ცალკე.

3. სტუდენტთა ამომრჩეველთა სიებში შეიტანება ფაკულტეტის ყველა სტუდენტი.

4. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ირიცხება ერთდროულად უნივერსიტეტის ერთზე მეტ ფაკულტეტზე, მაშინ ის თვითონ ირჩევს თუ რომელი ფაკულტეტის სიაში იყოს შეყვანილი.

5. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სიებში შეიტანება მოცემული ფაკულტეტის ყველა სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ პროფესორი.

6. ფაკულტეტის საარჩევნო სიაში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ამომრჩევლის სახელი და და გვარი;

ბ) სტუდენტის ბილეთის ან აკადემიური მოსწრების წიგნაკის ნომერი;

გ) აკადემიური პერსონალის პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერი.

7. დაუშვებელია ერთი და იმავე პირის მონაცემების რამდენიმე ფაკულტეტის საარჩევნო სიაში შეტანა.

8. ამომრჩეველთა რეგისტრაცია ხორციელდება ფაკულტეტის საარჩევნო კომისიების მიერ.

მუხლი 9. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილება

1. წარმომადგენლობითი საბჭო მუშაობს მის მიერვე დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

2. წარმომადგენლობითი საბჭო:

ა) შეიმუშავებს უნივერსიტეტის წესდებას აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;

ბ) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს;

გ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესსა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

დ) ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს;

ე) ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

ვ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

ზ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

თ) ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიურ ანგარიშს;

ი) უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

კ) ამტკიცებს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობას და პირობებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

ლ) ამტკიცებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს შრომის ანაზღაურების ოდენობას და პირობებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

მ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

ნ) იხილავს აკადემიური საბჭოს წლიურ ანგარიშს;

ო) ამტკიცებს ფაკულტეტის სტრუქტურას და დებულებას დეკანების წარდგინებით;

პ) შეისწავლის და განიხილავს უნივერსიტეტში კოლექტიურად გადასაწყვეტ სასწავლო, ფინანსურ და ადმინისტრაციულ საკითხებს;

ჟ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. წარმომადგენლობითი საბჭო ბიუჯეტის დამტკიცების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ყოველწლიური ანგარიშის დამტკიცების, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევის და სხვა გადაწყვეტილებებს იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, (50%+1).

4. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის ზედიზედ 2-ჯერ გაუვლელობა.

მუხლი 10. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომების ჩატარებას ორგანიზებას უწევს და თავმჯდომარეობს სპიკერი, რომელსაც წარმომადგენლობითი საბჭო ირჩევს თავისი რიგებიდან არა უმეტეს წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადით – 4 წლით.

2. სპიკერს წარმომადგენლობითი საბჭო ირჩევს ფარული კენჭისყრით, საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. კენჭისყრას ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 10 პროცენტი, სპიკერის არჩევნებამდე არა უგვიანეს 3 დღისა, საარჩევნო კომისიას წარუდგენს სპიკერის კანდიდატურას. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს. თუ კენჭს იყრიდა 1 ან 2 კანდიდატი და ვერც ერთმა ვერ მიიღო საკმარისი ხმების რაოდენობა, ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი. ახალი არჩევნები

ტარდება იმავე წესით. წინა არჩევნებში მონაწილე პრეტენდენტები შემდეგ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი ორზე მეტია და ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმავე დღეს უმეტესი ხმების მქონე ორ პრეტენდენტს შორის ტარდება განმეორებითი არჩევნები. თუ ამ შემთხვევაშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არა უგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი. ახალი არჩევნები ტარდება იმავე წესით. წინა არჩევნებში მონაწილე პრეტენდენტები შემდეგ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ.

4. სპიკერად არ შეიძლება არჩეულ იქნას ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენელი, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრი.

5. არჩეული სპიკერის მონაცემებს არჩევიდან ორი კვირის ვადაში წარუდგენენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარეგისტრაციოდ.

6. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი სურვილი;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

გ) გარდაცვალება;

დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

ე) აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება;

ვ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის ზედიზედ 2- ჯერ გაუვლელობა;

ზ) წესდებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 11. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის მოადგილე

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის მოადგილე მტკიცდება საბჭოს სხდომაზე, სპიკერის წარდგინებით.

2. სპიკერის მოადგილე ხელმძღვანელობს წარმომადგენლობითი საბჭოს მუშაობას სპიკერის არყოფნის პერიოდში.

მუხლი 12. წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი

1. წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი მტკიცდება საბჭოს სხდომაზე სპიკერის წარდგინებით.

2. მდივანი საბჭოს სხდომაზე აფიქსირებს საბჭოს გადაწყვეტილებებს და ამზადებს შესაბამის დოკუმენტებს, პასუხს აგებს ამ დოკუმენტების სიზუსტესა და შენახვაზე.

მუხლი 13. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომების მომზადებისა და წარმართვის პროცედურა

1. წარმომადგენლობითი საბჭოს პირველ სხდომას არჩევნების დამთავრებიდან არა უგვიანეს 5 დღისა მოიწვევს უნივერსიტეტის რექტორი.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს პირველ სხდომას თავმჯდომარეობს უხუცესი წევრი. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

3. წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილებას ცნობს პირველივე სხდომაზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს პირველ სხდომაზე განისაზღვრება სპიკერის არჩევის ვადები.

5. წარმომადგენლობითი საბჭოს შემდგომ სხდომებს თავმჯდომარეობს სპიკერი, მისი არყოფნის შემთხვევაში – სპიკერის მოადგილე.

6. სპიკერის და მოადგილის არყოფნის შემთხვევაში სხდომა არ იმართება.

7 წარმომადგენლობითი საბჭოს ყოველი სხდომის შემდეგ ფორმდება ოქმები სათანადო გადაწყვეტილებით. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომების ოქმების ადგილზე შენახვის ვადაა 4 წელი. შემდეგ გადაეცემა არქივს.

მუხლი 14. წარმომადგენლობით საბჭოში უნივერსიტეტის ბიბილიოთეკის წარმომადგენლების შეყვანის წესი

წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის შემდეგ უნივერსიტეტის რექტორის შესაბამისი აქტით საბჭოს შემადგენლობას დაემატება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის (ბიბლიოთეკების) წარმომადგენელი.

მუხლი 15. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი სურვილი;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

გ) გარდაცვალება;

დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

ე) უნივერსიტეტთან მისი შესაბამისი აკადემიური ან/და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

2 დაუშვებელია უფლებამოსილებაშეწყვეტილი აკადემიური პერსონალის წევრის ნაცვლად არჩეული იქნეს სტუდენტი და პირიქით.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად ამავე

ვადით.

მუხლი 16. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

აკადემიური საბჭო უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა.

მუხლი 17. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა და არჩევის წესი

1. აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევა უნივერსიტეტის ძირითად ერთეულებზე – ფაკულტეტებზე. ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2. აკადემიურ საბჭოში თითოეულ ფაკულტეტს ჰყავს ორი წარმომადგენელი. (განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური აქტით).

3. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა ემთხვევა ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურების ხანგრძლივობას და არის ოთხი წელი.

4. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განახლებას ექვემდებარება ერთი მესამედით ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურებით დადგენილ ხანგრძლივობის ნახევრის გასვლის შემდეგ.

5. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს 10 დღის განმავლობაში. კანდიდატების რეგისტრაციას ახორციელებს საარჩევნო კომისია. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში მიეთითება ის, თუ რა ხარვეზს შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს 2 დღის განმავლობაში.

6. კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს 3 დღის განმავლობაში.

7. აკადემიური საბჭოს პირველ სხდომაზე, რომელიც იმართება არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში, წილისყრით გამოვლინდება აკადემიური საბჭოს 1/3 , რომელთა უფლებამოსილების ვადაა 2 წელი.

8. აკადემიური საბჭოს წევრი ირჩევა 4 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

9. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ვადით ირჩევა საბჭოს ახალი წევრი.

10. აკადემიური საბჭოს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვთ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრსა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებს.

11. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა სრული ან ასოცირებული პროფესორი.

12. დაუშვებელია ერთი და იმავე პირის წარდგენა ერთდროულად წარმომადგენლობით საბჭოსა და აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატად.

13. აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატი არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, გარდა რექტორისა.

14. აკადემიური საბჭო პირველივე სხდომაზე ცნობს თავის უფლებამოსილებას.

მუხლი 18. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

1. აკადემიური საბჭო:

ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას;

ბ) ფაკულტეტების წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობას, მობილური და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას;

დ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს – რექტორს;

ე) წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, კონკურსის წესით შერჩეულ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას;

ვ) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მოტივირებულ წინადადებას;

ზ) წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში;

თ) მონაწილეობს უნივერსიტეტის წესდების, სტრუქტურული ერთეულების დებულების, ბიუჯეტის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის წარმომადგენლობით საბჭოში განხილვაში;

ი) სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, აგრეთვე ფაკულტეტზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;

კ) ადგენს სხვა უმაღლესი სასწავლებლების მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხების, აგრეთვე უმაღლესი განათლების კრედიტების ცნობის წესს;

ლ) ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს დებულებებს;

მ) წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურას;

ნ) ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ო) წარუდგენს წლიურ ანგარიშს წარმომადგენლობით საბჭოს;

პ) ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს საპატიო დოქტორის მინიჭების შესახებ;

ჟ) ირჩევს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს;

რ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერ-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს;

ს) ახორციელებს ამ წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით მასზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას;

ტ) აკადემიური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;

უ) აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

2. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის ზედიზედ 2-ჯერ გაუვლელობა.

მუხლი 19. აკადემიური საბჭოს სხდომების მომზადების და წარმართვის პროცედურა

1. აკადემიური საბჭოს პირველ სხდომაზე, რომელიც იმართება არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში, წილისყრით გამოვლინდება აკადემიური საბჭოს წევრების ერთი მესამედი, რომელთა უფლებამოსილების ვადა 2 წელია.

2. აკადემიური საბჭო უფლებამოსილებას ცნობს საბჭო პირველ სხდომაზე სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

3. აკადემიური საბჭოს პირველ სხდომაზე განისაზღვრება რექტორის არჩევის ვადები.

4. აკადემიური საბჭო უფლებამოსილების ცნობიდან 10 დღის ვადაში ირჩევს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს, რომელიც შედის წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში.

5. აკადემიური საბჭოს ყოველი სხდომის შემდეგ ფორმდება ოქმი სათანადო გადაწყვეტილებებით. ოქმის ადგილზე შენახვის ვადა 4 წელია, შემდეგ გადაეცემა არქივს.

მუხლი 20. უნივერსიტეტის რექტორი

1. რექტორი არის უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს უნივერსიტეტს ქვეყნის შიგნით და გარეთ აკადემიურსა და სამეცნიერო სფეროებში, რისთვისაც უფლებამოსილია უნივერსიტეტის სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები. იმ შემთხვევაში, თუ გარიგების, შეთანხმების დადება დაკავშირებულია ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებთან, მათ ხელს აწერს აგრეთვე ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

2. რექტორს ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 4 წლის ვადით. რექტორად შეიძლება არჩეული იქნეს ამ ან სხვა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულების სრული პროფესორი.

3. რექტორის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

4. რექტორის არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს რექტორის მოადგილე.

მუხლი 21. რექტორის არჩევნების გამოცხადება

1. საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირების უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო უფლებამოსილების ცნობიდან ორი კვირის ვადაში აქვეყნებს განცხადებას რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ.

2. აღნიშნული განცხადება ქვეყნდება კანდიდატების რეგისტრაციამდე არა უგვიანეს 1 და არჩევნების ჩატარებამდე არა უგვიანეს 3 თვით ადრე.

3. განცხადება უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ბეჭდვით ორგანოში, აგრეთვე განცხადება უნდა გაიკრას ყველასათვის თვალსაჩინო ადგილზე.

4. განცხადებაში აღინიშნება კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადა და რექტორის არჩევნების ჩატარების თარიღი.

მუხლი 22. კანდიდატების რეგისტრაციაში გატარება

1. კანდიდატების რეგისტრაციაში გატარება იწყება განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

2. რეგისტრაციაში გატარდება ნებისმიერი კანდიდატურა, რომელიც არის უნივერსიტეტის სრული პროფესორი და გააჩნია შესაბამისი დამადასტურებელი საბუთები. რეგისტრაცია გრძელდება ერთი თვის განმავლობაში. კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებისათვის სავალდებულოა მის მიერ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის და სამოქმედო გეგმის წარდგენა.

3. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია საბუთების მიღების შეწყვეტიდან ერთ კვირაში განიხილავს შემოსულ განცხადებებს და გამოაქვს მოტივირებული დასკვნა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატის დაშვება-არდაშვების შესახებ (გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით). არჩევნებში მონაწილეობისათვის დაშვებულ კანდიდატთა სია უნდა იქნეს შეტანილი ფარული კენჭისყრის ბიულეტინში.

4. კანდიდატურის რეგისტრაციაზე უარი უნდა იყოს დასაბუთებული წერილობითი ფორმით.

5. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება, თუ რა ხარვეზებს შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, ხარვეზების გამოსწორება შესაძლებელია 2 დღის ვადაში.

6. პირი, რომელსაც ეკავა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობა, ამავე უნივერსიტეტში რექტორად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ მისი, როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, უფლებამოსილების შეწყვეტიდან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 23. რექტორის არჩევა

1. კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან 30 დღის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 40 დღისა, იმართება დაწესებულების რექტორის არჩევნები. არჩევნებს ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

2. კანდიდატი აკადემიურ საბჭოს საჯაროდ წარუდგენს სამოქმედო გეგმას.

3. რექტორი ირჩევა უნივესიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრით. კენჭისყრაში უნდა მონაწილეობდეს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3 მაინც. რექტორი არჩეულად ითვლება, თუ კანდიდატმა მოიპოვა ხმების უმრავლესობა – საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 50%-ზე მეტი.

4. იმ შემთხვევაში, თუ კენჭს იყრიდა ორზე მეტი კანდიდატი და არც ერთი მათგანი არ იქნა არჩეული, საბჭოს იმავე სხდომაზე იმართება ხელახალი ფარული კენჭისყრა იმ ორი კანდიდატისათვის, რომლებმაც პირველ ტურში ხმების უმრავლესობა მიიღეს. თუ კენჭს იყრიდა 1 ან 2 კანდიდატი და ვერც ერთმა ვერ მიიღო საკმარისი ხმების რაოდენობა, ინიშნება ხელახალი არჩევნები (ცხადდება კონკურსი). არჩევნების შედეგები მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ ღია კენჭისყრით, ხმების უბრალო უმრავლესობით.

5. ფარული კენჭისყრა იმართება ბიულეტინების მეშვეობით. მასში უნდა იქნეს შეტანილი კონკურსში დაშვებული ყველა კანდიდატის გვარი. საბჭოს წევრი ხმას აძლევს მხოლოდ ერთი კანდიდატს. სხვა შემთხვევაში ბიულეტინი ბათილად ჩაითვლება.

6. რექტორი ირჩევა 4 წლის ვადით.

7. რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, რექტორის თანამდებობის დაკავება ხორციელდება არჩევნების ჩატარებით უფლებამოსილებაშეწყვეტილი რექტორის დარჩენილი ვადით.

მუხლი 24. აკადემიური საბჭოს მდივანი

1. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის – რექტორის არჩევის შემდეგ, მისივე წარდგინებით, საბჭოს პირველივე სხდომაზე მტკიცდება აკადემიური საბჭოს მდივანი.

2. მდივანი აკადემიური საბჭოს სხდომაზე აფიქსირებს საბჭოს გადაწყვეტილებებს და ამზადებს შესაბამის დოკუმენტებს, პასუხს აგებს ამ დოკუმენტების სიზუსტესა და შენახვაზე.

მუხლი 25. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების სფეროში, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტს საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში.

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარმომადგენლობითი საბჭო ამტკიცებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით, ფარული კენჭისყრით, კანონით და ამ წესდებით დადგენილი წესით. ერთი და იგივე პირი აკადემიურმა საბჭომ წარმომადგენლობით საბჭოს შეიძლება წარუდგინოს მხოლოდ ორჯერ. წარმომადგენლობითი საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში აკადემიური საბჭო წარადგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას.

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ წელს.

4. ერთი და იგივე პირი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

5. პირი, რომელსაც ეკავა რექტორის თანამდებობა იმავე უნივერსიტეტში, ადმინისტრაციის ხელმძღვანელად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ მისი, როგორც რექტორის უფლებამოსილების შეწყვეტიდან რექტორის ერთი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ.

6. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილება:

ა) ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;

ბ) უფლებამოსილია უნივერსიტეტის სახელით ბიუჯეტის შესაბამისად დადოს ფინანსური და ეკონომიკური გარიგებები;

გ) ადგენს ადმინისტრაციის სტრუქტურას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

დ) ადგენს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, მისი შრომის ანაზღაურების ოდენობას და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ე) ამზადებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ვ) ამზადებს შესრულებული სამუშაოს ყოველწლიურ ანგარიშს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ზ) გამოსცემს ინდივიდუალურ აქტებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

თ) პასუხიმგებელია უნივერსიტეტის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე;

ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას;

კ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია წარმომადგენლობით საბჭოსა და აკადემიური საბჭოს წინაშე.

7. გარდა ადმინისტრაციის თანამდებობის პირის ვადამდე განთავისუფლების ზოგადი საფუძვლებისა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) წარმომადგენლობითი საბჭოს განმეორებითი უარი წლიური ანგარიშის დამტკიცებაზე;

ბ) წარმომადგენლობით საბჭოს მოტივირებული გადაწყვეტილება.

მუხლი 26. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევის წესი

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევა:

ა) აკადემიური საბჭო უფლებამოსილების ცნობიდან ერთი თვის ვადაში აქვეყნებს განცხადებას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურების შერჩევის შესახებ;

ბ) განცხადებაში აღინიშნება, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატურა, განცხადების მიღების ადგილი და ვადა;

გ) აკადემიური საბჭო შემოსულ განცხადებებს განიხილავს სამი კვირის ვადაში, აფასებს კანდიდატურებს და ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით შერჩეულ კანდიდატურას წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

დ) აკადემიური საბჭოს უარი კანდიდატურის წარმომადგენლობით საბჭოში წარდგენის შესახებ უნდა იყოს წერილობითი და დასაბუთებული.

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დამტკიცება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ:

ა) წარმომადგენლობითი საბჭო, აკადემიური საბჭოს მიერ კანდიდატურის წარდგენიდან ორი კვირის ვადაში, ფარული კენჭისყრით ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობით;

ბ) ხმის მიცემის პროცედურის ჩატარებას და შედეგების შეჯამებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია;

გ) კომისია არჩევნების შედეგს საჯაროდ აცხადებს 3 დღის ვადაში ;

დ) წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ კანდიდატურის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო ერთი კვირის ვადაში წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს იგივე ან სხვა კანდიდატურას;

ე) კანდიდატურის ხელმეორედ დაუმტკიცებლობის შემთხვევში, აკადემიური საბჭო ხელახლა ატარებს შერჩევის პროცედურას და კონკურსის საფუძველზე შერჩეულ ახალ კანდიდატურას წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 27. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. განათლების ხარისხის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის ვალდებულებაა, რომელსაც ის ახორციელებს უმაღლესი სასწავლებლის ავტონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის მართვის ორგანოს.

3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პოლიტიკისა და სტრატეგიის განხორციელება ხარისხის სფეროში;

ბ) განათლების ხარისხის მართვის სისტემების შემუშავებისა და დანერგვის უზრუნველყოფა უნივერსიტეტში;

გ) აკრედიტაციის გავლისათვის საგანმანათლებლო პროცესის თვითშეფასების მექანიზმების დანერგვა და ამოქმედება; სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა;

დ) განათლების ხარისხის შეფასების ერთიანი და გამჭვირვალე კრიტერიუმების შემუშავება და სტუდენტების ჩართვა განათლების ხარისხის მართვისა და კონტროლის პროცესში;

ე) განათლების ხარისხთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და შედეგების გამოყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისათვის;

ვ) სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და კონტროლის უზრუნველყოფა, სასწავლო რესურსების და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კრიტერიუმების დადგენა და შეფასება;

ზ) პედაგოგიური პერსონალის კვალიფიკაციის შესწავლა, მათი კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაცია.

4. უნივერსიტეტის და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს შორის თანამშრომლობა წესრიგდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით.

5. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით.

მუხლი 28. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევის წესი

1. აკადემიური საბჭო აცხადებს კონკურსს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შესარჩევად.

კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ჰქონდეს უმაღლესი აგრარული განათლება, სასწავლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესების მართვის გამოცდილება, აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში სამეცნიერო პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.

2. განცხადება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შესარჩევად

კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა შეიცავდეს იმ კრიტერიუმებსა და წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხას, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატურა. კრიტერიუმებსა და წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხას ამტკიცებს აკადემიური საბჭო შესაბამისი აქტით. განცხადებაში აღინიშნება კანდიდატის მიერ დოქტორის აკადემიური ხარისხის ფლობის სავალდებულოობა. განცხადების გამოქვეყნებიდან 15 დღის განმავლობაში მიმდინარეობს კანდიდატთა რეგისტრაცია. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება, თუ რა ხარვეზს შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია 2 დღის ვადაში.

3. განცხადების მიღების დასრულებიდან 10 დღის ვადაში აკადემიური საბჭო შეარჩევს კანდიდატურას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

4. წარმომადგენლობითი საბჭო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგენიდან 5 დღის ვადაში სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ამტკიცებს კანდიდატურას ან დასაბუთებულ უარს აცხადებს მის დამტკიცებაზე.

5. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო აცხადებს ხელახალ კონკურსს და ახალ შერჩეულ კანდიდატურას წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს, რომელიც არ შეიძლება იყოს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დაუმტკიცებელი კანდიდატურა.

6. კანდიდატურის შერჩევის განმეორებით კონკურსის გამოცხადებისას გამოიყენება ამ თავით დადგენილი ვადები.

7. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის განცხადებების რეგისტრაციას და კონკურსის წესით აკადემიური საბჭოს მიერ მისი შერჩევის ფარულობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

8. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევა ში, ტარდება ამ თავით გათვალისწინებული პროცედურა.

თავი III უნივერსიტეტის სტრუქტურა

მუხლი 29. უნივერსიტეტის სტრუქტურა

1. უნივერსიტეტი ავტონომიურად აყალიბებს თავის სტრუქტურას;

2. უნივერსიტეტის შემადგენლობაში შედის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის უშუალოდ განმახორციელებელი ძირითადი სტრუქტურული ერთეულები: ფაკულტეტები, ბიბლიოთეკა და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.

3. უნივერსიტეტის ფაკულტეტების შემადგენლობაში სტრუქტურული ქვედანაყოფის სახით შეიძლება შეიქმნას სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები.

4. უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

5. უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფის სტატუსი და ფუნქცია განისაზღვრება სათანადო დებულებებით.

მუხლი 30. უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

1. უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია:

ა) რექტორის აპარატი;

ბ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატი;

გ) აკადემიური საბჭოს სამდივნო;

დ) წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნო;

ე) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამდივნო;

ვ) კანცელარია;

ზ) სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.

2. უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა განისაზღვრება ამ ერთეულების დებულებებით, რომელსაც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

თავი IV უნივერსიტეტის პერსონალი

მუხლი 31. უნივერსიტეტის პერსონალი

უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

მუხლი 32. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

2. პროფესორები მონაწილეობენ და წარმართავენ სასწავლო პროცესს და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

3. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომლის ჩატარების წესს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

4. სრულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

5. ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

6. ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტი.

7. კონკურსის ჩატარების შემდეგ აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით.

8. აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში წესდების შესაბამისად;

ბ) დამოუკიდებლად, ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება; საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო პროგრამების ფორმა და შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;

გ) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, აიღოს შემოქმედებითი ანაზღაურებადი შვებულება ერთი სასწავლო წლის ხანგრძლივობით.

9. აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნები;

ბ) დაიცვას ეთიკის კოდექსი და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმები;

გ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

დ) კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ, ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინოს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

10. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა ან შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;

გ) ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების უხეში ან სისტემატური დარღვევა;

დ) პენსიაზე გასვლა ან ემერიტუსის წოდების მინიჭება;

ე) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

11. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანებას გამოსცემს უნივერსიტეტის რექტორი.

12. პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

13. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტი უფლებამოსილია საათობრივი ანაზღაურების წესით მოიწვიოს სხვა უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პერსონალი.

14. კონტრაქტით მოწვეული პედაგოგების საათობრივი ანაზღაურების ტარიფები განისაზღვრება აკადემიური საბჭოს მიერ, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

15. აკადემიური პერსონალის საქმიანობა და უფლებამოსილება განისაზღვრება უნივერსიტეტის შინაგანაწესით.

მუხლი 33. ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი, მათი მოადგილეები და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

2. რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის დეკანის მოადგილეები თანამდებობაზე ინიშნებიან რექტორის ბრძანებით სათანადო მმართველი სუბიექტების წარდგინების საფუძველზე.

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეული ან დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი.

4. ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

გ) გარდაცვალება;

დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება;

ე) 65 წლის ასაკს მიღწევა.

5. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი. ისინი უფლებამოსილი არიან გაუძღვნენ სემინარულ, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობების დაკავების გარეშე.

6. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული უნივერსიტეტის საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა პირები.

7. უნივერსიტეტი უფლებამოსილია თანამდებობის დაკავების გარეშე, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პიროვნება სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით ან

სამეურნეო-ტექნიკურ პროცესებში მონაწილეობის ან/და მათი წარმართვის მიზნით. მოწვეული სპეციალისტის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებით.

8. აკადემიური, ადმინისტრაციული, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის სამსახურებრივი შეუთავსებლობა განისაზღვრება კანონმდებლობით და შრომითი ხელშეკრულებით.

9. ადმინისტრაციული თანამდებობის პირს არ შეუძლია უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს სხვა ადმინისტრაციული თანამდებობა ან იყოს სხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (დეპარტამენტი, განყოფილება, ინსტიტუტი, ლაბორატორია, პროგრამული მიმართულება).

10. აკადემიური საბჭოს წევრს არ შეუძლია უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა, გარდა რექტორისა ან იყოს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი.

11. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს არ შეუძლია უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა.

12. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები არ შეიძლება არჩეული იყვნენ წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში.

13. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობა და უფლებამოსილება განისაზღვრება უნივერსიტეტის შინაგანაწესით.

თავი V სასწავლო პროცესი

მუხლი 34. ფაკულტეტი

1. ფაკულტეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს, რომლის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.

2. ფაკულტეტი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ წესდების შესაბამისად შეიმუშავებს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს, რომლის მიხედვითაც:

ა) შეიმუშავებს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ადგენს შესაბამის პროგრამებს და გეგმებს;

ბ) შეიმუშავებს პერსონალის სამსახურში მიღების წესს, რომელსაც აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო;

გ) სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრავს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდისათვის;

დ) ირჩევს ფაკულტეტის მართვის ორგანოებს;

ე) ქმნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;

ვ) წყვეტს ფაკულტეტის მიერ მოზიდული ფინანსებისა და მის მფლობელობაში არსებული ქონების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მუხლი 35. ფაკულტეტის მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები):

ფაკულტეტის მართვის ორგანოებია: ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 36. ფაკულტეტის საბჭო:

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვერება ფაკულტეტის დებულებით, მაგრამ არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

3. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება:

ა) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტს;

ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების სფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურას და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ე) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ვ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;

ზ) ახორციელებს საქართველოს კანონით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 37. ფაკულტეტის დეკანი

ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილებანი:

ა) შეიმუშავებს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ადგენს შესაბამის პროგრამებსა და გეგმებს;

ბ) სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრავს და რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს კოეფიციენტებს

ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის და სსიპ – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მისაღები კონტიგენტის ფარგლებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად სტუდენტების და ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობას;

გ) შეიმუშავებს და განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

დ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;

ე) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიან მიმდინარეობას;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს;

ზ) პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივი გამოყენებისათვის, რისთვისაც პერიოდულად ანგარიშს აბარებს ფაკულტეტის საბჭოს.

მუხლი 38. ფაკულტეტის დეკანის არჩევა

1. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განაცხადს ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არა უგვიანეს 1 და არჩევნების ჩატარებამდე არა უგვიანეს 2 თვით ადრე, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

2. ფაკულტეტის დეკანს ირჩევენ ფაკულტეტის საბჭოს მიერ გამჭირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით, ფარული კენჭისყრით. კენჭისყრაში უნდა მონაწილეობდეს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3 მაინც. დეკანი არჩეულად ითვლება, თუ კანდიდატმა მოიპოვა ხმების უმრავლესობა – საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 50%-ზე მეტი.

3. იმ შემთხვევაში, თუ კენჭს იყრიდა ორზე მეტი კანდიდატი და არც ერთი მათგანი არ იქნა არჩეული, საბჭოს იმავე სხდომაზე იმართება ხელახალი ფარული კენჭისყრა იმ ორი კანდიდატისათვის, რომლებმაც პირველ ტურში ხმების უმრავლესობა მიიღეს. თუ კენჭს იყრიდა 1 ან 2 კანდიდატი და ვერც ერთმა ვერ მიიღო არჩევნებისათვის საკმარისი ხმების რაოდენობა, ინიშნება ხელახალი არჩევნები (ცხადდება კონკურსი). არჩევნების შედეგები მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ ღია კენჭისყრით, ხმების უბრალო უმრავლესობით.

4. ფარული კენჭისყრა იმართება ბიულეტინების მეშვეობით. მასში უნდა იქნეს შეტანილი კონკურსში დაშვებული ყველა კანდიდატის გვარი. საბჭოს წევრი ხმას აძლევს მხოლოდ ერთ კანდიდატს. სხვა შემთხვევაში ბიულეტინი ბათილად ჩაითვლება.

5. ფაკულტეტის დეკანად შეიძლება აირჩეს ასოცირებული ან სრული პროფესორი.

6. ფაკულტეტის დეკანი აირჩევა 4 წლის ვადით.

7. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორი სრული ვადით.

მუხლი 39. სადისერტაციო საბჭო

1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე.

2. სადისერტაციო საბჭოების შედგენისა და თავმჯდომარის არჩევის წესი განისაზღვრება აკადემიური საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოს წარგინებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად. სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ყველა სრული და ასოცირებული პროფესორისაგან.

3. სადისერტაციო საბჭო მოქმედებს აკადემიური საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად და დოქტორის ხარისხს ანიჭებს მეცნიერების იმ დარგში, რომლებიც განსაზღვრულია ამავე დებულებით.

4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.

5. სადისერტაციო საბჭოში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირის მოწვევის წესი და პირობები განისაზღვრება სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

მუხლი 40. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. უნივერსიტეტის ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხისა და სისტემური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამყარებს მჭიდრო კავშირს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.

3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.

4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) გამოყენების გზით და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.

5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი შეიძლება იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი ასოცირებული ან სრული პროფესორი.

თავი VI სტუდენტი

მუხლი 41. სტუდენტის უფლებები

1. სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ) მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევებში, აგრეთვე ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტური თვითმმართველობის, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მართვის წარმომადგენლობით ორგანოებში, აგრეთვე თავისუფლად დააფუძნოს ან გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

დ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის შინაგანაწესით სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოახდინოს მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების ამ დაწესებულებაში გადატანა;

ვ) სოციალური და ეკონომიკური პირობების სტაბილურობისათვის კანონმდებლობით და უნივერსიტეტის შინაგანაწესის საფუძველზე სახელმწიფოსაგან, უნივერსიტეტისაგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

ზ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან ერთად მოახდინოს სწავლების და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის, აგრეთვე აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება.

2. დოქტორანტი შეიძლება არჩეული იყოს ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე, ის უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობს როგორც სტუდენტი.

3. მოქმედი კანონმდებლობით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისათვის უნივერსიტეტს შინაგანაწესით განსაზღვრული უნდა ჰქონდეს შეღავათები მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად.

4. სტუდენტის უფლებების დაცვა, აგრეთვე ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალობა ან მისი შენახვა უნდა განხორციელდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

5. უნივერსიტეტი შეიმუშავებს სტუდენტის ეთიკის კოდექსს, რომელიც შესაძლებელია აწესებდეს შეზღუდვას სტუდენტის ქცევაზე, თუ ეს დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვასთან. უნივერსიტეტი დეტალურად განსაზღვრავს ქცევის წესს, რომელიც იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

6. სტუდენტს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს ფაკულტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც დისციპლინარულ დევნას ან სხვა დისციპლინურ პასუხისმგებლობას ეხება.

7. სტუდენტის სტატუსი წყდება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ან უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც მან საკუთარი სურვილით აირჩია, დაიცვას უნივერსიტეტის წესდება და შინაგანაწესი.

მუხლი 42. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში სტუდენტის საქმიანობა და უფლებამოსილება, აგრეთვე სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები განისაზღვრება უნივერსიტეტის შინაგანაწესით.

მუხლი 43. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა

1. უნივერსიტეტში ფარული კენჭისყრით საყოველთაო, თანასწორი პირდაპირი არჩევნების საფუძველზე იქმნება ფაკულტეტების მიხედვით არჩეული სტუდენტური თვითმმართველობა.

2. ფაკულტეტზე არჩეული სტუდენტური თვითმმართველობების ერთობლიობა წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითმმართველობას, რომელიც შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას.

3. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი დებულების შესაბამისად:

ა) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში;

ბ) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;

გ) ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში;

დ) უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები ფაკულტეტის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს;

ე) განახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;

ვ) სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოების არჩევის წესი და პირობები განისაზღვრება უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით;

ზ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

თავი VII საარჩევნო კომისიები

მუხლი 44 . უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია

1. არჩევნების ჩატარების მიზნით, რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებლივი აქტით იქმნება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია და ფაკულტეტების საარჩევნო კომისიები.

2. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა არის კენტი. კომისია შედგება არანაკლებ 3 და არა უმეტეს 9 წევრისაგან. უნივერსიტეტის სარჩევნო კომისიისა და ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. საარჩევნო კომისიის წევრებს ნიშნავს რექტორი ოთხი წლის ვადით.

4. საარჩევნო კომისიაში შეიყვანება სტუდენტური თვითმმართველობის არა უმეტეს 2 წარმომადგენელი, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომისიის რაოდენობის ფარგლებში.

5. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია უფლებამოსილია:

ა) მიიღოს ყველა გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, თუ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ) მიიღოს გადაწყვეტილება ამ დებულებით გათვალისწინებულ მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებზე.

6. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას ეკისრება ვალდებულება უნივერსიტეტში მიმდინარე არჩევნები ჩაატაროს დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

7. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აირჩევა კომისიის პირველ სხდომაზე მისი შემადგენლობიდან კომისიის წევრების ხმათა უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

8. საარჩევნო კომისიის მდივნად აირჩევა კომისიის ნებისმიერი წევრი კომისიის პირველივე სხდომაზე ფარული კენჭისყრით, დამსწრეთა უმრავლესობით. კომისიის მდივანი ადგენს კომისიის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს, რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო კომისიაში შეტანილ კორესპონდენციას, არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს და აძლევს მათ შესაბამის მოწმობებს. ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს და ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 45. ფაკულტეტის საარჩევნო კომისია

1. ფაკულტეტის საარჩევნო კომისია იქმნება საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით. კომისია შედგება არანაკლებ 3 და არა უმეტეს 5 წევრისაგან. საარჩევნო კომისიაში შეჰყავთ სტუდენტური თვითმმართველობის ერთი წარმომადგენელი.

2. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრებს ნიშნავს საარჩევნო კომისია.

3. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აირჩევა მისი შემადგენლობიდან, ფარული კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით და ამტკიცებს საარჩევნო კომისია. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებებს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე.

მუხლი 46. ინტერესთა შეუთავსებლობა

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული პერსონალი და არც მართვის ორგანოს წევრი ან წევრობის კანდიდატი.

თავი VIII უნივერსიტეტის ქონება, ფინანსური სახსრები, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგება და კონტროლი

მუხლი 47. უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი შეიძლება ეწეოდეს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ სხვა ეკონომიკურ საქმიანობას, შესაბამისად „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში.

მუხლი 48. უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროები

1. საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებია:

ა) სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტით ან სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის გადახდით;

ბ) სხვადასხვა გრანტის, შემოწირულობის სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები;

გ) საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო-კვლევითი გრანტები;

დ) უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული და სხვა შემოსავლები, რომლებიც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით;

ე) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები.

2. უნივერსიტეტი ვალდებულია მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე აცნობოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი იმ სტუდენტების ვინაობა და რაოდენობა, რომლებმაც რაიმე მიზეზით შეწყვიტეს ან გადაავადეს სწავლა.

3. უნივერსიტეტის სახსრები ფაკულტეტის ბიუჯეტთან და შემოსავლებთან ერთად მთლიანად ხმარდება უნივერსიტეტის და ფაკულტეტების მიზნებისა და ფუნქციების შესრულებას. უნივერსიტეტის და მისი სტრუქტურული ერთეულების სახსრების და შემოსავლების გამოყენება რაიმე სხვა მიზნით აკრძალულია.

მუხლი 49. უნივერსიტეტის ქონება

1. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტს დასახული მიზნებისათვის და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გადაეცემა შესაბამისი ქონება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ქონება შედგება მისთვის სახელმწიფოსაგან, იურიდიული და კერძო პირების მიერ გადაცემული, ასევე მის მიერ საკუთარი სახსრებით შეძენილი ქონებისაგან.

3. სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობით უნივერსიტეტს შეუძლია განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) სხვა გადაწყვეტილებები ინსტიტუტის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

4. სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს უარი ამ მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრული ქმედებების განხორციელებაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

5. უნივერსიტეტი ს ამ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ და ,,ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობა.

6. ამ მუხლის მესამე პუნქტის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

მუხლი 50. ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება

უნივერსიტეტი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

მუხლი 51. სახელმწიფო კონტროლი

1. უნივერსიტეტი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს.

2. უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლი გულისხმობს მისი საქმიანობის კანონიერების მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

3. უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

4. უნივერსიტეტი ვალდებულია დადგენილი წესით, მაკონტროლებელი ორგანოებს მოთხოვნისთანავე, წარუდგინოს უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, მისცეს მათ შესაბამისი ახსნა-განმარტება.

თავი IX წესდებაში ცვლილების შეტანის წესი

მუხლი 52. წესდებაში ცვლილების შეტანის წესი

1. უნივერსიტეტის წესდებაში შესატან ცვლილებათა პროექტს შეიმუშავებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს მონაწილეობით.

2. წესდებაში ცვლილების შეტანის შემდეგ, იგი დასამტკიცებლად გადაეცემა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

თავი X უნივერსიტეტის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია

მუხლი 53. უნივერსიტეტის რეორგანიზაცია

1. უნივერსიტეტი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც უნივერსიტეტი ორჯერ ზედიზედ ვერ გაივლის აკრედიტაციას, უწყდება

უფლებამოსილება უნივერსიტეტის მართვის ორგანოებსა და ადმინისტრაციული თანამდებობის პირებს, რაც წარმოადგენს უნივერსიტეტის რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის საფუძველს.

3. უნივერსიტეტის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება კანონებით ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საფუძველზე და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესით.

4. უნივერსიტეტის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას ახორციელებს საქართველოს მთავრობა სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს წარდგინებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია უნივერსიტეტში განსაზვრული ვადით დანიშნოს თავისი წარმომადგენელი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს უნივერსიტეტის მიმდინარე საქმიანობას და შეიმუშავებს წინადადებებს უნივერსიტეტის საქმიანობის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ და უნივერსიტეტის სტუდენტთა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განთავსების შესაძლებლობების თაობაზე.